პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

(932) 234 | 1 და 2 ქართული მხრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი
რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ლოკარნოს კონფერენცია და გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულობა.

ლოკარნოში მეორე კვირაა რაც მოლაპარაკება სწარმოებს გერმანიისა და ანტანტის წარმომადგენელთა შორის. ამავე დროს, 12 ოქტომბერს, მოსკოვში, ხელი მოაწერეს გერმანია—საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულობას საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა და საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. განეცკიმ საბჭოთა კავშირის მხრივ და მეორეს მხრივ გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში ბროკდორფ—რანცაუმ და გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ კერხერმა. ამ ხელშეკრულების გარშემო ორივე მხარეთა შორის მოლაპარაკება მესამე წელია რაც სწარმოებს.

ხშირი იყო ამ ხნის განმავლობაში ისეთი მომენტები, რომ მოსალოდნელი იყო მოლაპარაკების შეწყვეტა, ვინაიდან გერმანია თავის დამოკიდებულებაში ამ მოლაპარაკებისადმი დიდ გავლენას განიცდიდა იმ უცხო ძალებისა, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ და არიან გერმანია და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის გაცხოველებისა.

ლოკარნოს კონფერენციის გარშემო შექმნილმა პირობებმა დააჩქარეს ამ მოლაპარაკების დასრულება. ხელშეკრულობა ათ შეთანხმებისაგან შესდგება, რომლებიც სწყვეტენ ყველა იმ საკითხებს, რომელიც წარმოიშობა გერმანია და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე. ეს კითხვები ეხებიან ერთი მხრის მოქალაქეების მეორე მხრის ტერიტორიაზე ყოფნის პირობებს, მათი უფლებრივ დაცვას, ზღვაოსნობას, რკინის გზების მიმოსვლას და სავაჭრო საშუამავლო სასამართლოს.

ამ შეთანხმებათა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სამეურნეო შეთანხმება (სავაჭრო ხელშეკრულობა). საბჭოთა დელეგაცია მოლაპარაკების დროს შემდეგ ხაზს სისწორით იცავდა: დელეგაცია ილებდა მხედველობაში გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობას, არ უყენებდა უკანასკნელს მეტის მეტ მოთხოვნილებებს, მაგრამ ამასთანავე არავითარ გადახრას არ უშვებდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისაგან (ჩვენი საგარეო ვაჭრობა სავსებით ჩვენივე სახელმწიფოს ხელშია—ამას ეწოდება ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია), რაც ცუდად იმოქმედებდა ჩვენი მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აყვავების საქმეში. ამ ხელშეკრულობას არა მარტო საბჭოთა კავშირის აღორძინების და გერმანიის დაგროვილ საქონლის განაღდების საქმეში ექნება დიდი მნიშვნელობა, არამედ მას დღევანდელ საერთაშორისო პირობებში უდიდესი პოლიტიკური წონა აქვს. სულ მოკლე ხანში უნდა დასრულდეს ლოკარნოს კონფერენცია. იქ საკითხი გერმანიისათვის ასეა დასმული: ან საბჭოთა კავშირთან მეგობრული კავშირი, რომელიც გულისხმობს ჩვენს და გერმანიის ხალხთა შორის კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობას, ან და ანტანტის მეგობრობა, რაც გერმანიას ინგლის—საფრანგეთის მონადხლის და უთუოდ ანტი-საბჭოთა ფრონტში ჩაითრევს. გერმანია ირწმუნება, რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა აშორებული იქნება.

სულ ახლო მომავალი დაგვანახვებს, გერმანიის მთავრობა მოისურვებს ჩვენთან მეგობრულ ურთიერთობას, თუ ის ავან ტიურისტების გზას აყვება.

## ამიერ-კავკასიის შესწავლისთვის.

სამთვიან სამუშაო გეგმაში, რომელიც დაეგზავნა ნაწილებს პოლიტგანყოფილების აგიტპროპის მიერ, გაკვრით არის ნათქვამი, რომ მიქცეული ჰქონდეს ყურადღება ამიერ-კავკასიის შესწავლას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ არ ყოფილა გადადგმული ნაბიჯი და ამ საკითხს არ ჰქონია დათმობილი ადგილი მუშაობის დროს. ჩვენი მეთაურების უმეტესი ნაწილი და წითელ არმიელებიც არ იცნობენ ჩვენ მოსაზღვრე რესპუბლიკებს, არ არიან ნათლად გარკვეულნი მათ ცხოვრებაში, ეკონომიკაში და ისტორიაში. შეიძლება პირადად ზოგიერთი ამხანაგი დაინტერესებულიყოს ამ საკითხით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამიერ-კავკასიის შესწავლა გეგმით უნდა სწარმოებდეს.

მტკიცება იმისა, რომ ამიერ-კავკასიის შესწავლა ყოველ მხრივ ჩვენთვის აუცილებელია, ზედმეტად მიგვაჩნია.

რა გზით უნდა მიმდინარეობდეს ჩვენი ჯარის ნაწილებში ამიერ-კავკასიის შესწავლა? ამას, უპირველესად ყოვლისა, უნდა მიაქციოს ყურადღება სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებამ და მის წრეებმა. ამ საზოგადოებამ თავის მუშაობაში ამიერ-კავკასიის შესწავლას უნდა დაუთმოს საპატიო ადგილი.

კლუბებთან დაარსებულ უნდა იქნენ ამიერ-კავკასიის შემსწავლელი წრეები.

მასალები წრეების მუშაობისათვის საკმარისად მოიპოვება ნაწილების ბიბლიოთეკებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ წითელ არმიელები დაინტერესდებიან წრის მუშაობით და მათი მუშაობაც იქნება ნაყოფიერი, თუ კი ხელმძღვანელი გამოიჩენს საკმაო უნარს და ხალისს.

ლენინის კუთხესთან უნდა მოეწყოს ამიერ-კავკასიის განყოფილება. აქ უნდა იყვეს თავმოყრილი წიგნები, რუქები, სურათები და სხვა მასალა, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებას.

მასიურ მუშაობისთვისაც არის აქ დიდი ასპარეზი. დრო-გამოშვებით სასურველია გამართვა ამიერ-კავკასიის ხალხთა საღამოების.

ამ საღამოებზე შეიძლება დაიდგას რაიმე პიესა, რომელშიაც გამოხატულია ამიერ-კავკასიის ხალხთა ყოფა-ცხოვრება, მათი წარსული ცხოვრება, ბრძოლა ძველ ზნე-ჩვეულებებთან და ლტოლვა ახალი ცხოვრებისაკენ. ლიტწრემ უნდა გაიცნოს დამსწრენი მეზობელ ხალხთა პოეზიას და ახალ მოტივებს ამ პოეზიისა, თუ რამდენათ ახალ ცხოვრებაში ჰპოვა მან გამოძახილი გლეხთა და მშრომელთა მასაში. მომღერალთა წრემ უნდა შეისწავლოს ამა თუ იმ ხალხის სიმღერანი.

თუ კი რომელიმე ნაწილი ამის გარდა მოაწყობს ექსკურსიას სხვა და სხვა ადგილებში და ადგილობრივ გაიცნობს მათ ცხოვრებას, ეს იქნება ამ საქმის შესწავლის საუკეთესო საშუალება.

გ. ხუციშვილი.

# ახალი რადიო-ამბები

## საუზრუნველყოფო კონფერენცია.

### მოკავშირეების ფანდები.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ფორვერტსი" ადასტურებს საუზრუნველყოფო კონფერენციაზე მოლაპარაკების დამაკმაყოფილებელ შედეგებს და გზადაგზა ამჟღავნებს გერმანიის დელეგაციის მანევრებს.

კერძოდ გაზეთი გულახდილად აცხადებს: გერმანია დათმობაზე წავიდა ისე, რომ სამაგიერო დათმობას ადგილი არ ჰქონია მოკავშირეების მხრივ; მაგალითად კონფერენციამდე კელნის ევაკუაცია (კელნაში ჯარები ჰყავდათ ჩაყენებული მოკავშირეებს) თვით მოკავშირეების მიერ ისედაც საჭიროდ იყო ცნობილი. როგორც სჩანს მოკავშირეები იგონებენ ეხლა ფანდებს, რომ დაამშვიდონ გერმანიის საზოგადოება შეთანხმების წინ.

## პოლონეთის პოზიცია ლოკარნოს კონფერენციის მიმართ.

პოლონეთის ავტორიტეტულ წყაროების ცნობით ლოკარნოს კონფერენციასთან დაკავშირებით, პოლონეთი არავითარ შემთხვევაში არ მიემხრობა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო პოლიტიკას.

## სხვა და სხვა გვარი შეფასება.

### ვისი სახლი იწვის და ვინ ხელს ითბობს.

ლოკარნოდან (შვეიცარიის ქალაქი, სადაც მიდის საგარანტიო (საუზრუნველყოფო) კონფერენცია) იტყობინებიან, რომ საფრანგეთის დელეგატმა ბრიანმა კონფერენციის სხდომის გათავების შემდეგ განაცხადა, რომ მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატება.

გერმანიის დელეგატმა შუბერტმა განაცხადა, რომ მიღწეულ იქნა მცირეოდენი წარმატება.

## გაფიცვები და დემონსტრაციები მაროკოსა და სირიის ომის წინააღმდეგ.

12 ოქტომბერს პარიზში (საფრანგეთში) მრავალი შეტაკება მოხდა პოლიციასა და გაფიცულთა შორის, რომლებიც გამოვიდენ დემონსტრაციაზე მაროკოსა და სირიის ომის წინააღმდეგ.

მძიმედ დაიჭრა კომუნისტი დეპუტატი დორიო. დორიო წაიყვანეს საავადმყოფოში და შემდეგ, მიუხედავად კომუნისტ დეპუტატების წინააღმდეგობისა, გადაიყვანეს სანტეს ციხეში.

## ამერიკის სესხი გერმანიას.

გერმანიაში ჩავიდა ამერიკის ფინანსისტი ვანდერბილდი, რომლის მისვლასაც სავაჭრო წრეებში უკავშირებენ ამერიკის სესხის გაფართოებას გერმანიის სამრეწველოსთვის.

# საბჭოთა კავშირში

## ჯილდოების მიცემა საკავშირო საპლანერო შეჯიბრზე.

12 ოქტომბერს ფეოდოსიაში (საბჭ. კავშირში) მოხდა ჯილდოების დარიგება საკავშირო საპლანერო შეჯიბრებზე.

პირველი ჯილდო მიიღო გერმანელ მფრინავმა ნერინგმა; ახალი მსოფლიო რეკორდი აიღო მფრინავმა შულცმა, რომელიც გაჩერდა ჰაერში „მორიცზე" 12 საათი, 6 წუთი და 25 წამი.

## სამრეწველო საქონლის შემოტანის გეგმა.

შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა სამრეწველო საქონლის შემოტანის გეგმა 1925-26 წელში.

სულ საგეგმო რაიონებში (უკრაინა, ჩრდილოეთ კავკასია, ვოლგას მხარე, ურალი, ციმბირი, შუა-აზია, ამიერკავკასია, ცენტრალურ სამიწად-მოქმედო რაიონი) განზრახულია შემოტანილ იქნას 21.543 ვაგონი ღირებულობა 754 მილიონ მანეთის.

ტყავეულობა—98 მილიონ მანეთის; მახორკა—2.713 ვაგონი—21 მილ. მანეთის; სასოფლო-სამეურნეო მანქანები—160 მილ. მანეთის; სულ ერთი მილიარდი და 32 მილიონი მანეთის სხვადასხვა საქონელი.

დანარჩენ რაიონებში, რომლებიც არ არიან შეტანილი გეგმაში, განზრახულია შეტანილ იქნას 246 მილიონი მანეთის საქონელი.

## შევამჭიდროვოთ რიგები ბელადის სამარის წინაშე.

კანტონის ფეიქართა საჩუქარი საბჭოთა კავშირის ფეიქრებს.

კანტონის ფეიქრებმა გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირის ფეიქრების პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტს საჩუქრად ლენინის სურათი, რომელიც მოქსოვილია კანტონის ფეიქრების მიერ. სურათზე არის წარწერა ჩინურ და რუსულ ენაზე: „ჩვენი ბელადის სამარის წინაშე შევამჭიდროვოდ უფრო მტკიცედ რიგები ჩაგრული ხალხისა და მშრომელი მასების გამათავისუფლებელ ბრძოლისთვის. რუსეთის მუშებს—კანტონის აბრეშუმის მქსოველ ფაბრიკების მუშათა პროფკავშირისაგან".

## ჩეხო—სლოვაკიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციამ ინახულა მანქანების მშენებელი ქარხანა „პროფინტერნი“ (ყოფილი ბრიანსკის). დელეგატებმა დაათვალიერეს ქარხნის სხვა და სხვა სახელოსნოები.

მუშებთან საუბარში სტუმრებს მეტად აინტერესებდათ მუშათა ყოფა-ცხოვრება, სამუშაო ხელფასი, შრომის დაცვა და ქალთა და ბავშვთა შრომის პირობები.

## ამხ. სმირნოვი საგლეხო სესხის შესახებ.

მიმდინარე წლის პირველ ნოემბრიდან მეორე საგლეხო მომგებიან სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით, მიწად მოქმედების სახალხო კომისარმა სმირნოვმა განაცხადა:

„შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პირველ საგლეხო სესხმა და მისმა განმეორებითი გამოშვებამ საგრძნობლად შეუმსუბუქა გლეხობას სასოფლო სამეურნეო გადასახადების გასწორება. ობლიგაციებმა (სესხის ქაღალდებმა) ნდობა მოიპოვეს სოფლის ფართე ფენებში.

მომგებიანი სესხი დიდი შეღავათია გლეხობისათვის. ამიტომ, ცხადია, გლეხობა, სავსებით გამოიყენებს მის სარგებლიანობას“.

## სრულიად უკრაინის კომკავშირის თათბირი.

უკრაინის ლენინურ ახკომკავშირის პოლიტიკურ თათბირის ცნობებით კავშირს ყავს 234.391 წევრი. კომკავშირის წევრთა უმეტესობა ღარიბი გლეხობაა. კომკავშირის აქტივი საგრძნობლად გაიზარდა და გაუმჯობესდა მისი სოციალური შემადგენლობა (37 პროც. გლეხობაა და 47 პროც. მუშები).

## სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესია.

13 ოქტომბერს გაიხსნა სრ. რუსეთის ცაკის მეორე სესია. ქალაქის საბჭოების შესახებ მოხსენება გააკეთა კისელიოვმა, რომელმაც აღნიშნა საკითხის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში და სხვა.

კამათში მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს საპარონოვმა, მუხინმა, მოროზოვმა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ბელობოროდოვმა და სხვებმა.

კალინინის წინადადებით სესიამ დაადგინა მიიღოს დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ საფუძვლად.

## სანაპირო შემთხვევა რუმინეთის საზღვარზე.

11 ოქტომბერს დილით მდინარე დნესტრზე, სოფელ კარაგაშის რაიონში საგუშაგოზე მდგომ წითელ არმიელს აუტეხეს სროლა რუმინეთის საზღვრიდან.

სანაპირო წერტმა ამის შესახებ მაშინვე ოქმი შეადგინა.

რუმინეთ-საბჭოთა შერეულ კომისიის საბჭოთა დელეგაციამ აცნობა ამის შესახებ რუმინეთის დელეგაციას, რომელმაც სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს ეს შემთხვევა.

# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

## გურიის გლეხთა სასახლე.

ოზურგეთის გლეხკომთა სამაზრო თათბირზე აღმასკომთან ერთად გადაწყვეტილ იქნა აშენდეს ოზურგეთში „გურიის გლეხთა სასახლე“, თანხის შესაქმნელად დადგენილ იქნა მოეწყოს ლოტორეა 80 ათასი ბილეთით, რომელიც სულ ეღირება 20 ათასი მანეთი. თითო ბილეთი 25 კაპ. 186 მომგებიანი ბილეთი იქნება.

ბილეთების გათამაშება განზრახულია 1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

# ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ.

## ახალი ხე-ტყის ქარხანა აჭარისტანში.

ხულოს მაზრაში, ნანუზ-ოღლის სოფლის ახლოს, აჭარის-წყალის ნაპირზე ოქტომბრის 1-ლ რიცხვიდან ამუშავებულ იქნა ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ქარხანა ამუშავებს ყოველდღიურად 500-600 ვერშოკს. ქარხანაში მუშაობს ადგილობრივი მოსახლეობა. მთიდან ქარხანამდი მორების ჩამოსაშვებად განზრახულია გაიყვანონ კანატის (სინებით ქსოვილი თოკი) გზა ჰაერში.

## შვეგულის სიმღერა.

მახსოვს დღე, როცა სოფლიდან
წამოველ წითელ ჯარშია,
გული დაღონდა მწარედა
ცრემლი მომადგა თვალშია.

მოველ ყაზარმას და უმალ
დავტოვე დარდი ნაღველი,
და შევიყვარე მშრომელთა
დროშა დიადი, ნათელი.

დროც არა მქონდა დარდისთვის,
უნდა მესწავლა ან-ბანი,
არ შეუშინდი სიძნელეს
დავსძლიე დაბრკოლებანი.

და შევიძინე ბევრი რამ:
ვისწავლე თოფის ხმარება.
მიყვარდა ხმლისა მოქნევა
და მისი აელვარება.

გავიგე, როგორ იტანჯვის
ქვეყნათა ხალხი მშრომელი,
გავიგე, იმათ სისხლითა
თუ ვითა ირწყვის მთა-ველი.

და აღჭურვილი ცოდნითა
მე ვუბრუნდები სოფელსა.
ჩემსა ძალ-ღონეს მთლიანად
შევსწირავ ხალხსა მშრომელსა.

ე. ხ—ლი.

## ფართლეულობა გლეხობას.

საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილებამ მისცა გასულ წელს ოზურგეთის და აცანის გლეხკომებს 5.000 მანეთის ფართლეულობა.

საქონლის ნახევარი რაოდენობა აღნიშნულ გლეხკომებს დაეთმო ნისიათ.

## ჩვენი ნავთის ნაწარმოები საფრანგეთში.

12 ოქტომბერს ბათომიდან გავიდა საფრანგეთის სამხედრო გემი „რონა“ ნავთის ნაწარმოებით დატვირთული.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲨᲔᲜᲘᲦᲑᲕᲐ.

### როგორ უნდა გამოიყენო ხელწამოსაკრავი მასალა.

შეტევის დროს შენიღბვის ერთ-ერთი საშუალებათაგანია ადგილობრივ მასალების გამოყენება. გადამრბენ მსროლელისთვის ეს აუცილებლობა იბადება იმით, რომ ყოველთვის შეუძლებელია შეინიღბო ადგილმდებარეობასთან შეხამებით. ჩვეულებრივად მსროლელის თავი და მხრები ღია ადგილზე ხშირად მოსჩანს იმ დროს, როცა სხეულის დანარჩენი ნაწილი დაფარულია (მაგალითად როცა მსროლელი მიხოხავს მინდორზე); მასთან მსროლელის გარჩევას ხელს უწყობს ხშირად ტანისამოსის ფერი, თუ ის განსხვავდება ადგილმდებარეობის ფერისაგან. ამიტომ მსროლელი იძულებულია გამოიყენოს ხელმოსაკრავი მასალები. ხელმოსაკრავი მასალების გამოყენება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს და გამოიხატება იმაში, რომ მსროლელი აიღებს რამოდენიმე მუჭა ბალახს ან ყვავილს მინდორზე, ტოტებს ბუჩქებს შორის, სიმინდს, სიმინდიან მინდორზე და სხვა და ჩამოიფარებს მას სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც დასანახავი იქნება მტრისთვის.

ამასთან აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ხშირად მტრის მოთვალთვალე შეამჩნევს გადამრბენსა და მით უფრო მიმხოხავ მსროლელს თავითა და მხრებით, რომლებიც ჩვეულებრივად სხეულის სხვა ნაწილებზე უფრო მოსჩანან. ამიტომ პირველ რიგში უნდა შევნიღბოდ თავი და მხრები. ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: არას დროს არ უნდა ვისარგებლოდ იმ ხელმოსაკრავ მასალით, რომელიც თავისი ფერით არ შეეხამება ადგილმდებარეობის ფერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი ადვილად შეამჩნევს გადამრბენ ან მიმხოხავ მსროლელს.

რომ დავფაროდ თავის მოხაზულობა უნდა შევნიღბოდ თავ-მორთულობა (ჩაფხუტი, ქუდი); ამისათვის ქუდის ზონარში (ღვედში) ან ჩაფხუტის საყურეებში უნდა ჩავამაგროდ ბალახები, ყვავილები ან პატარა ტოტები იმ ანგარიშით, რომ დავფაროდ ის (ჩაფხუტი) მთლიანად. ამასთან უნდა გვახსოვდეს კიდევ ერთი პირობა: შესანიღბავად აღებული ხელმოსაკრავი მასალა (განსაკუთრებით ტოტები) არ უნდა ადიდებდეს მსროლელის ფიგურას, თორემ ადვილად შეამჩნევს მას მტერი.

ჩაფხუტი შენიღბვის დროს მცენარეულობით უნდა ვეცადოთ დავფაროდ მისი თავისებური მოხაზულობა, რისთვისაც ბალახი ან ტოტები ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არ მოვიდეს ჩაფხუტის წვეროს მაღლა, ხოლო ქუდზე კი მცენარე რამოდენიმედ მაღლა უნდა მოდიოდეს. მცენარეულობა თავმორთულობაზე უნდა წარმოადგენდეს ბალახის პატარა ბუჩქს მიწაზე. მტერთან ახლო მახძილზედაც კი შეუძლია მსროლელს ისე შეინიღბოს, რომ მტრის მოთვალთვალემ ვერ შეამჩნიოს, თუ კი რომ მსროლელი მოხდენილად გამოიყენებს, ხელმოსაკრავ მასალას. კარგ შენიღბვად ჩაითვლება ის, თუ რომ მსროლელი შეასრულებს შემდეგ სამ პირობას: 1) არ გაადიდო შენიღბვით შენი ფიგურა, 2) შენიღბვის ფერი შეეხამებოდეს ადგილმდებარეობის ფერს და 3) შენიღბვის მასალა უნდა იყოს იმ საგნების ნაწილი, რომლებიც იმყოფებიან მოცემულ ადგილზე.

ი. ბარ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲝ ᲜᲝᲠᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐ.

როგორც ყველამ იცის, წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში მყოფ სამხედრო პირთათვის არსებობს, როგორც საგადასახადო პოლიტიკაში, ისე მიწის საკითხშიც საშეღავათო ნორმები.

ჩვენთან შემოსული საჩივრები ნათელს ჰყოფენ, რომ ძალიან ხშირად კანონით გათვალისწინებული შეღავათები სამხედრო პირთათვის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არ ტარდება ცხოვრებაში.

ამ მდგომარეობამ კი არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს თვით ჩვენ წითელ ჯარზედ. ხშირი არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც წითელ მოლაშქრის ოჯახიდან წაუღიათ ამა თუ იმ სახის გადასახადები იმ დროს, როდესაც კანონი აძლევდა სათანადო შეღავათს, როგორც წითელი ჯარის რიგებში მყოფ სამხედრო პირის ოჯახს.

მშობლებმა ამის შესახებ მისწერეს წერილი წითელარმიელს, და ეს უკანასკნელი კი იმის მაგიერ, რომ შეეცადოს კანონიერი გზით აღადგინოს მისი დარღვეული უფლება, სტოვებს უნებართვოთ სამხედრო ერთეულს და გარბის სახლში, ე. ი. იდენს სისხლის სამართლის დანაშაულს—დეზერტირობას.

ეს და სხვა კიდევ ამის მსგავსი მრავალი მაგალითები ლალადებენ მაზედ, რომ სოფლად სამხედრო პირისათვის კანონით მინიჭებული შეღავათები არა სისწორით ტარდება ცხოვრებაში, რომლის გამოც ეცემა ადგილობრივ გლეხობის თვალში საბჭოთა კანონიერების ავტორიტეტი.

გარდა ამისა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბჭოთა კანონიერების პოპულიარიზაცია წითელარმიელთა ფართო მასსაში და სწორედ ამ მიზანს ისახავს სამხედრო პროკურატურასთან არსებული საკონსულტაციო ბიურო, რომელიც თავის რჩევა-დარიგებებით საშუალებას აძლევს დაინტერესებულ სამხედრო პირთ გაერკვეს საბჭოთა კანონიერების საკითხებში და შეიგნოს, თუ რა გზებით შეიძლება იქნეს აღდგენილი მისი დარღვეული უფლება.

მეორე მხრივ სამხედრო პროკურატურამ გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯიც ამ მიმართულებით და სამოქალაქო საპროკურორო ორგანოებთან შეთანხმებით გამოიმუშავა შემდეგი ხაზი: ყველა ის სამხედრო პირი, რომლის კანონიერი საშეღავათო უფლებებიც იქნა დარღვეული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მიერ, ამის შესახებ ვრცელ განცხადებას აძლევს ქართული დივიზიების სამხედრო პროკურატურას. განცხადებაში ნათლათ უნდა იქნეს აღნიშნული განმცხადებლის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი და ის, თუ რა უფლებები იქნა მისი დარღვეული, როდის და სახელდობრ ვის მიერ. ასეთი შინაარსის განცხადებას თვისი დასკვნით სამხედრო პროკურორი უგზავნის ან აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორს და ან დასავლეთ საქართველოს პროკურორს (იმის მიხედვით, თუ სად ჰქონდა ადგილი სამხედრო პირის კანონიერი შეღავათების დარღვევას). ეს უკანასკნელი კი ღებულობს სათანადო ზომებს და მიღწეული შედეგების შესახებ ცნობას აძლევს სამხედრო პროკურატურას, რომლიდგანაც შეუძლია გაიგოს სამხედრო პირმა მის მიერ აღძრულ საჩივრის ბედი.

უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი ფრიად სერიოზული საკითხია და ფრთხილადაც უდგებიან მის გადაჭრას როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საპროკურორო ორგანოები. არც ერთი შემთხვევა სამხედრო პირთათვის კანონით მინიჭებულ შეღავათების დარღვევის საქმეში არ უნდა დარჩეს გამოურკვეველი, რადგანაც ვიმეორებ, ასეთი რამ ახდენს უარყოფით გავლენას წითელი ჯარის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობაზედ და სცემს გლეხობის თვალში საბჭოთა კანონიერების პრესტიჟს.

ამ საკითხის მოგვარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენმა უფ. და პოლიტ-შემადგენლობამ და წითელ არმიელთა ფართო მასამ.

დ. ხიხაძე.

# ახალ წვეულის მოსვლის წინ.

## ახალი ძალების მოლოდინში.

დღეს თუ ხვალ შეავსებენ ჩვენს რიგებს სოფლიდან მოსული ახალი ძალები—ახალწვეული არმიელები და კვლავ ახმაურდება ჩვენი ნაწილების დროებით მიყუჩებული ყაზარმები. კვლავ გაჩაღდება მუშაობა.

წითელი ყაზარმა სიხარულით ელის ამხანაგებს, რომ მოამზადოს ისინი და აღჭურვოს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნით და გახადოს ისინი საბჭოთა რესპუბლიკების ღირსეულ-შეგნებულ მოქალაქეთ.

1-ლ ლეგიონის ძველი წითელ-არმიელები სიხარულით უცდით ამხანაგების მოსვლას და მზადა ვართ მთელი ჩვენი ენერგია და სამხედრო-პოლიტიკური ცოდნა და გამოცდილება გადავსცეთ მათ.

ჩვენ ვესალმებით ახალწვეულ ამხანაგებს და ვუსურვებთ მათ ნაყოფიერი ყოფილიყოს მათი წითელ ყაზარმაში ცხოვრება და მუშაობა, მშრომელი ხალხისა და მისგან მოპოვებული თავისუფლების საკეთილდღეოდ.

სამხკორი ლ. ლომია.

## რას ვაკეთებდით ტერ-ნაწილებში.

**სამხ. მეთაურთა სკოლის კურსანტები.**

ერთი თვის წინად სკოლის ახკომკავშირელი კურსანტების უმეტესი ნაწილი მივლინებულ იქნა ტერნაწილებში პრაქტიკის მისაღებად. ნაწილებში მუშაობის დროს კურსანტების უმთავრესი ყურადღება ექცეოდა ტერ-სისტემის დადებით და უარყოფითი მხარეების შესწავლას. ეს გაადვილებული იყო თვით ტერ-ნაწილებში უშვალოდ მუშაობით. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ახკომკავშირელ კურსანტების მუშაობას ამ ნაწილებში.

მისვლისთანავე შეუდექით ყველა ასეულებში ლენკუთხების მოწყობას, ვატარებდით საუბრებს საღამოობით და ურკვევდით წ. მოლაშქრეებს სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს. აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდით კედლის გაზეთების გამოშვებაში და წითელ არმიელებსაც ვითრევდით მუშაობაში. შესაძლებლობის ფარგლებში უხსნიდით მათ კედლის გაზეთის მნიშვნელობას, რომ სოფელში დაბრუნების შემდეგ მათაც მოეკიდათ ხელი იქ კედლის გაზეთების გამოშვებისათვის. პოლიტსაათების ჩატარებით კი ჩვენც ვიწვრთნებოდით პრაქტიკულად.

ამნაირად ჩვენი კურსანტები ნაწილში მუშაობის ყველა ფრონტებზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ და საკმაო პატივისცემაც დაიმსახურეს, როგორც მეთაურთა, ისე წითელარმიელთა შემადგენლობაში. ეს თვალნათლივ დაამტკიცა ყველა ნაწილებიდან ჩვენი ამხანაგების გამოცილებამ.

ჩვენ ღირსეულად შევასრულეთ ყველა დავალებები და დარწმუნებული ვართ ტერარმიელებში ჩვენი მუშაობა საკმაო ნაყოფს გამოიღებს სოფლად.

ახკორი შ. ვ.

## ახალწვეულები სიხარულით ცხადდებიან.

**გორის მიმღები კომისია.**

გორის სამხედრო კომისარიატის მიმღებ კომისიამ 6 ოქტომბრიდან დაიწყო 1903 წ. დაბ. მოქ. მიღება. რადგანაც გორს აუარებელი ახალგაზრდობა აწყდება, ამიტომ დაარსებულია ორი კომისია.

როგორც მიმღები კომისიები, ისე კომისარიატის მთელი შემადგენლობა განუწყვეტლივ მუშაობენ დილიდან საღამომდე. ჯერჯერობით რაიონებიდან თითქმის ყველა ვალდებულები მოდიან.

მათ არა ეტყობათ არავითარი უკმაყოფილება, ყველანი მამაცურათ გამოიყურებიან და ერთსა და იმავეს გაიძახიან „გაგვგზავნეთ მალე ჯარშიო“. როდესაც ამხ. კომისიის თავმჯდომარეს ახალწვეულის დედამ წარუდგინა შეღავათის მოწმობა და ეხვეწებოდა „დამიტოვეთ შვილიო“, ამას ყური მოჰკრა თვით ახალწვეულმა და დედას გაბრაზებული შესძახა: „შენ ამდონი სახლში გდება ეხლა ჩემი დროც მოვიდა, წავიდე ჯარში და შევიგნო რამე“-ო.

სოფლის ახალწვეულის ასეთმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც მთელ კომისიაზე, ისე სხვა ახალგაზრდებზედ.

კომისარიატში შესასვლელ დივანში, მე-4 ლეგიონის არმიელების მიერ შემკული იქნა კედლები სხვა და სხვა სურათებით წითელ ყაზარმის ცხოვრებიდან, აქვეა რევოლიუციის ბელად ლენინის სურათიც. მის ძირს კი დიდი მაგიდა ყოველ დღიურ გაზეთ „წითელ არმიელით“, რომელსაც ახალწვეულები დიდი ინტერესით კითხულობენ.

მე-4 ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა ეხლავე სცდილობენ გააცნონ მომავალ მათ მოლაშქრეებს წითელი ყაზარმის ცხოვრება.

ყოველ საღამოობით დამწკრივებული ახალწვეულები მიდიან ადგილობრივ კინოში, სადაც მათ მაზრის ხელისუფლების თაოსნობით აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს. რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ახალწვეულებზედ.

გ. კალანდაძე.

## რევოლიუციონური დისციპლინა განმტკიცდა.

**პირველი ლეგიონი.**

ლოზუნგი, რევოლიუციონური დისციპლინის განმტკიცების შესახებ, სრულიად განხორციელებული იქნა ჩვენს ლეგიონში. იმ დროს, როდესაც სოფლად უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული რევოლიუციონური კანონიერების გატარებას, ჩვენს ნაწილში რევოლიუციონურ დისციპლინის ქვეშ აღზრდილი წითელ არმიელები დიდ ძალებად მოევლინებიან სოფლებს. ისინი იქნებიან რევოლიუციონური კანონიერების პირველი ამსრულებელი სოფლად.

ლეგიონმა საკმაოდ აღბეჭდა თითეულ წითელარმიელში იმის შეგნება, თუ რამ მნიშვნელობა აქვს ჯარის რიგებში მტკიცე რევოლიუციონურ დისციპლინას და არა ნაკლები შთაგონების ძალა მოუხმარია ჩვენ მეთაურებს იმისათვის, რომ გაერკვიათ არმიელები რევოლიუციონური კანონიერების გატარების მნიშვნელობაში.

თუ ლეგიონმა ზედმიწევნით დამაკმაყოფილებლად გაატარა დისციპლინა ძველ არმიელებში, მით უმეტეს იმედი გვაქვს, რომ წარმატებით გაატარებს მას ახლად მოსულ ამხანაგებში.

გაუმარჯოს ლეგიონის ამ მიმართულებით მუშაობას.

სამხკორი ა. ოდიშარია.

## ჩვენი დრამწრის მუშაობა.

**პირველი ლეგიონი.**

13 ოქტომბერს 1-ლ ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლის დასრულების გამო, კურსანტებმა თავიანთი ძალებით გამართეს საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა „არსენ ჯორჯიაშვილი“. საღამო-წარმოდგენამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე.

ვუსურვებთ სკოლა დამთავრებულ ამხანაგებს მომავალში მეტ მუშაობას და თავიანთი ახლად დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

წ. ა. კ. მინდიაშვილი.

## საჭიროა პოლიტხელთა თათბირის მოწვევა.

ამ დღეებში დამთავრდა ტერიტორიალური ნაწილების პირველი შეკრება. აქედან იწყება ჩაყრილ ბალავერზე შენობის აგება, საბოლოო გამარჯვებისათვის. ტერიტორიალური მშენებლობა პირველი გამოცდა იყო ჩვენი ქართულ ნაწილებისათვის და მოითხოვდა ზედმეტ ენერგიის დახარჯვას უფ-პოლიტ შემადგენლობიდან.

ამ მუშაობამ ბევრი გამოცდილება მისცა ჩვენს უფ-პოლიტ შემადგენლობას, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რომლებიც ჩაბმული არიან მაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ტერშეკრება მთელ 100%-ით კარგად ჩატარდა. ამ შეკრებას ჰქონდა როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფით მხარეებიც და საჭიროებს შესწორებების შეტანას, რათა მომავლისათვის უფრო კარგად ჩატარდეს ეს საისტორიო მუშაობა.

ამისათვის აუცილებელი საჭიროა ასეულის პოლიტ-ხელთა თათბირი დივიზიის მაშტაბით. აქ საშვალება ექნება პოლიტხელებს გაეცნონ სხვა და სხვა ლეგიონებში წარმოებულ მუშაობას და შეიტანონ შესწორებები.

პოლიტხელთა თათბირი კი იმიტომ არის საჭირო, რომ სწორედ მათ უხდებოდათ ამ მუშაობის უშვალო ხელმძღვანელობა და მათ შეუძლიათ ნათლად აღნიშნონ ყოველდღიური მუშაობის დროს შენიშნული დეფექტები, თუ სხვა.

დარწმუნებული ვარ პოლიტგანყოფილება სათანადო ყურადღებით მოეკიდება ამ საქმეს.

მებრძოლი.

## ბიბლიოთეკა მოგვიწყვეს.

**1-ლი მესანგრეთა ასეული.**

ასეულში ამ უკანასკნელად ძლიერ კარგად მოაწყო ბიბგამგემ ჩვენი ბიბლიოთეკა. ყველა კუთხეები თავის რიგზეა და მშვენივრად მორთული. შეძენილი იქნა ახალი საწევრო წიგნაკები. გატარებული იქნენ ყველა წევრები ხელახალ რეგისტრაციაში და დაიწყო წიგნების გაცემა. ამ ჟამად გამგე მთელ თავის ყურადღებას აქცევს კედლის გაზეთის გამოშვების საქმეს, რომლითაც უნდა შეხვდეს ახალწვეულებს და გააცნოს ჩვენი წითელი ყაზარმის ყოფა-ცხოვრება. წითელ-არმიელები ძლიერ ცდილობენ მიაწოდონ ამხანაგს საჭირო წერილები გაზეთისათვის ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ მომენტებიდან.

სამხკორი უხახაძე.

## რას აკეთებენ შვებული არმიელები სოფლად.

**შვებულებაში წასულ არმიელის წერილი.**

სოფელში მისვლის შემდეგ, შვებული არმიელები შეუდექით სოფლის მდგომარეობის გამორკვევას.

ამ ჟამად დიდი მუშაობა სწარმოებს ყველგან ჭირნახულის მოსაწევად. ჩვენი ყურადღებაც აქეთკენ იქნა მიქცეული. შევადგინეთ უმუშახელო ქვრივ და ღარიბების სია და ყველას ვეხმარებოდით. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხებში და დიდი პატივისცემით იხსენიებდენ წითელ ჯარსა და მის აღმზრდელ ყაზარმას.

ამას გარდა ფართოდ ვეწეოდით 1903 წელში დაბადებულთა შორის აგიტაციას, რომ უკლებლივ გამოცხადებულიყვნენ გასაწვევ პუნქტებზე. ჩვენ ყოველმხრივად ვცდილობდით ნათელი წარმოდგენა მიგვეცა მათთვის წითელ ყაზარმასა და იქ წარმოებულ მუშაობაზე, რითაც მათ აქედანვე ვაყვარებდით ყაზარმულ ცხოვრებას.

ასევე ერთგულად შეუდექით სოფლის სხვა და სხვა დაწესებულებებში მუშაობას.

წითელი ყაზარმიდან მიღებულ დავალებებს პირნათლად ვასრულებთ.

ვსცდილობთ არც ჩვენს აღმზრდელ მეთაურებსა და ამხ. არმიელებთან არ გავსწყვიტოთ კავშირი.

გაუმარჯოს მათ საქმიანობას-ჩვენი ცვლა ახალწვეულების აღზრდის საქმეში, რომლებიც კიდევ უფრო მეტი გამოცდილებით დაბრუნდებიან ვინემ ჩვენ ვართ და დაგვეხმარებიან განახლებული სოფლის კულტურულ-ეკონომიურ წარმატების საქმეში.

ყოფ. წ. არმ. ო—ლი.

## კუთვნილს რატომ არ გვაძლევენ.

**1-ლი ლეგიონი.**

როგორც 1924 წ. მაისში გამოწვეულებს ამ გაშვების დროს გვიწევდა გრძელვადიან შვებულებაში წასვლა, მაგრამ ნაწილის უფროსთან შეთანხმებით დავრჩით ნაწილში ზოგიერთი არმიელები, უნცროს მეთაურებად. სათანადო ბრძანების თანახმად დაგვნიშნეს უნცროს მეთაურებად განთავისუფლების დღიდან. სამწუხაროდ ჯამაგირს ისევ წითელ-არმიელისას გვაძლევენ.

პირველ ოქტომბრიდან მაინც გვეგონა რომ მოგვეცემოდა უნცროს მეთაურის ჯამაგირი. ასეთი იყო ჩვენი შეთანხმება ნაწილის უფროსთან. ეხლა კი ჩვენ მოტყუებული დავრჩით. თუ ასე იქნებოდა არ დავრჩებოდით, რადგან ჩვენს ოჯახებში ეხლაა დიდი მუშაობა საჭირო და აბა რა ანგარიში იქნებოდა ჩვენი მხრივ ასეთი საქციელი? აქ მიღებული ჯამაგირით კი შეგვეძლო ოჯახებისთვის რაიმე ნივთიერი დახმარება აღმოგვეჩინა.

ამას გარდა, განთავისუფლების შემდეგ ზოგიერთს სამსახურშიც კი შეეძლო შესვლა, რადგან აჩენილი ჰქონდათ.

რას ნიშნავს ასეთი საქციელი? თავიდან მაინც ეთქვათ ჩვენთვის, რომ ვალდებული ვიყავით ტყვილა გვემსახურა. გული მაინც არ დაგვწყდებოდა.

ლეგიონის თავთან დადებული პირობას მაინც უნდა ჰქონოდა ძალა.

აზიზი.

## ახკომკავშირელთა შორის.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

10 ოქტომბერს შესდგა ცხენოსანი ლეგიონის ახკომკავშირელთა და ახკომკავშირის პარტკურსების მსმენელთა გაერთიანებული კრება. კრებას უმთავრესად ჰქონდა საუბრის ხასიათი. ხელმძღვანელობას გვიწევდა ახკომკავშირის ორგანიზატორი ამხ. ჩახაია, დაწვრილებით იქნა გაშუქებული თუ როგორ უნდა აწარმოონ ამხანაგებმა სოფლად მუშაობა გლეხებთან და სხვა მრავალი. ამხანაგები დიდი სიამოვნებით უსმენდენ მოხსენებას და ყველა საყურადღებო საკითხების გაშუქებას დაწვრილებით იწერდენ რვეულებში. შეკითხვები მრავალი იყო, რამაც უფრო შეუწყო ხელი გაუგებარი საკითხების გაშუქებას.

მიცემულ შეკითხვებზე თვით წითელარმიელებს აპასუხებია ამხ. ჩახაიამ და თუ საკითხი სუსტათ გაშუქდებოდა მათ მიერ, შემდეგ თვითვე ეხმარებოდა.

ამნაირად საუბარი შეჯიბრის ხასიათს ატარებდა ძალაუნებურად და დიდი ინტერესიც გამოიწვია.

კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთი ხასიათის საუბრები, რაც უფრო დიდ ნაყოფს მოუტანს არმიელებს.

სამხკორი მეჯერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახკომკავშირელთა შორის.

**2-რე ლეგიონი.**

ნაწილში მოსვლის შემდეგ მრავალ არმიელებმა განაცხადეს სურვილი პარტიაში შესვლის შესახებ. ეს სურვილი უფრო გაცხოველდა მას შემდეგ, რაც ამხანაგები დაწვრილებით გაეცნენ პოლიტიკურ საკითხებს და გაერკვენ მასში.

კავშირში მრავალი განცხადებები იქნა შეტანილი. ასევე კომუჯრედში, მაგრამ ბიურო-კოლექტივს არ მოეპოება ანკეტები. უცდიან მაგრამ არსაიდან სჩანს. ისე კი ამხანაგების წევრებად მიღება არ ხერხდება.

რად გასჭირდა ანკეტების გადმოგზავნა ასე?

დროა მოგვაქციონ ყურადღება სათანადო ორგანოებმა და გადმოუგზავნონ ლეგიონის ბიურო კოლექტივს საჭირო ანკეტები.

კომკავშირელი ნოზაძე.

# წითელ არმიელების წერილებიდან.

## შეაკეთეთ საყარაულო შენობა.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

პირველ საარტილერიო ლეგიონსა და მძიმე დივიზიონის გარნიზონში არის ერთი საყარაულო შენობა, რომელსაც სულ ჩალეწილი აქვს ფანჯრები. სადაც არის ზამთარიც დაიწყება; შენობას კი ყურადღებას არავინ აქცევს, მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. ალბად სიცივეებშიც ასე ფანჯრებ ჩამტვრეულ შენობაში მოგვიხდება ყოფნა. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ვისაც ეს ეხება და აქედანვე შეეცადონ შენობის შეკეთებას.

სამხკარი რაიონის პირელი.

## მოგვეცით განათება.

**მეთაურთა სკოლა.**

მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდში ერთ უხერხულობას აქვს ადგილი, რომელიც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს და ჰიგიენურადაც დაუშვებელია. გუნდის ზარული ღამ-ღამობით გაუნათებელია. ეს ძლიერ უწყობს ხელს ანტი-ჰიგიენური მდგომარეობის შექმნას ჩვენთან. ნუ თუ ასე გაჭირდა ერთი სანათურის შეძენა?

მოგვეცით ერთი ელექტრო-სანათური, თორემ სისუფთავის დაცვა მოუხერხებელია ჩვენთან.

წ. არმ. ხიდისთაველი.

## გაზეთები არ მოდის.

**3-მე ლეგ. ბიბგამგის საყურადღებოთ.**

შვებულებაში გაშვების წინა დღეებში გამოვიწერე გაზეთები „წითელ არმიელი“ ერთი თვით და „ახალი სოფელი“ 3 თვით. ფული გადავეცი მესამე ლეგიონის ბიბგამგეს, რომელიც შემპირდა გაზეთების გამოწერას 1-ლ ოქტომბრიდან, მიუხედავათ ამისა გაზეთები დღესაც არ მიმიღია. რაშია საქმე? იქნებ ხსენებულ ბიბგამგეს არ გადაუხდია ეს ფული?

გ. მამაჯანოვი.

## ყოველთვის ჩვენთან არის.

**3-მე ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის მესამე ასეულში გვყავს ერთი უმცროსი მეთაურის თანაშემწე ჭელიძე, რომელიც ძლიერ კარგად არის მომზადებული სამხედრო და პოლიტიკურ დარგებში. თავის ცოდნას ეს ამხანაგი დაუზარებლად გვიზიარებს ასეულის არმიელებს. თავისუფალ დროს თითეული წუთიც კი არ იკარგება მისგან ტყვილა. ის სულ ჩვენთან არის და გვესაუბრება.

უქმე დღეებში მისივე მეთაურობით გავდივართ მინდვრად და ვსაუბრობთ სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე. ჩვენი მადლობა მას ასეთი მზრუნველობისათვის.

ბალ-ლი.

# ამბები სოფლებიდან.

**აგურის ქარხნის ასაგებათ.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გასცეს უფასო ხე-ტყის მასალა სოფ. ბუგეულში აგურის ქარხნის ასაგებათ.

**რადიო ონში.**

რაჭის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს სათანადო თანხა ონის რადიო სადგურისათვის საჭირო მასალების შესაძენათ.

**საბავშვო სახლი საჩხერეში.**

შორაპნის აღმასკომმა გადასცა ახალი შენობა საჩხერის საბავშვო სახლს.

**მუზეუმი ახალციხეში.**

ახალციხის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გადაიტანოს მუზეუმი ახალ შენობაში და გაამდიდროს იგი ახალი სამუზეუმო ნივთებით, რომელნიც მაზრაში მოიპოება.

**მიმღები პუნქტი.**

რაჭის აღმასკომის დადგენილებით ქვემო რაჭის სოფლებისათვის სამხედრო საკრებულო პუნქტათ დანიშნული სოფ. ამბროლაური.

**საექიმო სადგური.**

სოფ. ნაგომარში (გურია) გაიხსნა საექიმო სადგური.

**გლეხკომის საქმიანობა.**

სოფ. საქობოში (სიღნაღის მაზრა) ადგილობრივმა გლეხკომმა ააგო ქვიტკირის ახალი შენობა სამკითხველოსთვის.

**მეწყერისაგან დაზარალებულთათვის.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასცა, მთავრობის მიერ გადადებული თანხიდან 10 ათასი მანეთი პატარა ონის საკრედიტო ამხანაგობას, სოფ. ბუგეულის მეწყერისაგან დაზარალებულ გლეხებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემათ.

**თემების გამოყოფა.**

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, თავასის თემიდან თუზის თემის ცალკე გამოყოფის შესახებ, თანახმად მცხოვრებთა თხოვნისა.

**სანიმუშო გლეხკომები.**

სიღნაღის მაზრაში სანიმუშო გლეხკომებათ ითვლებიან სოფ. გურჯაანისა და საქობოს გლეხკომები.

**ცემენტის ქარხანა.**

სოფ. კავთისხევში (გორ. მაზრა) უმ. სამ. საბჭო აგებს ცემენტის ქარხანას, სადაც წლიურათ დამზადდება 70.000 ფუთი ცემენტი.

---

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 232-ში გაგვეპარა შემდეგი შეცდომა. მოწინავეს სათაური დაბეჭდილია: „ცვალებადელნო, ემზადეთ წითელ ყაზარმაში მოსასვლელად“. უნდა იყოს: „ახალწვეულნო, ემზადეთ. . . . “.

---

# ახალი ამბები.

**—სანიტგანათლება წ. არმიელებში.** დღეს სანიტარულ განათლების თეატრში წითელ-არმიელთათვის წაკითხულ იქნება ლექცია ათაშანგზე. ლექციის შემდეგ გაიმართება წარმოდგენა.

**— ხანძართან საბრძოლველათ.** ნოემბრის პირველ რიცხვებიდან ვერის რაიონში მოეწყობა ხანძართან საბრძოლველი პოსტი.

**— გლეხ ახალგაზრდობის** სკოლები წელს თფილისის მაზრაში გაიხსნება ხუთ ადგილას.

**— რკინეულობა ზაჰესისათვის.** ზაჰესმა შეუკვეთა რუსეთში და ბაქოში სხვა და სხვა ქარხნებს 31 ათასი ფუთი რკინეულობის მასალები.

**— სოფლის ნაწარმოების** გასასაღებლათ ა. კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შესდგა ცალკე თათბირი.

**— ქალაქში თამბაქოს** ნაწარმოებთა გასასყიდათ ინვალიდებს დაეთმოთ 130 ადგილი.

**— იმერული ღვინოების დამზადება.** საქ. სახ. საპაიო ამხანაგობამ დაადგინა შეიძინოს დასავლეთ საქართველოში 150 ათასი ფუთი ყურძენი საკუთარ ქარხნებში იმერულ ღვინის დასამზადებლათ.

**— მეფუტკრეობა.** მიწ. მოქ. კომისარიატის ცნობით ამ ჟამად მთელ საქართველოში არსებობს მეფუტკრეთა 7 კოოპერატიული ამხანაგობა.

**— საავადმყოფო რკინისგზელებისათვის.** ა. კ. საგეგმო კომისიამ რკინისგზათა სამმართველოს ხარჯთაღრიცხვაში შეიტანა დამატებით 180 ათასი მანეთი ტფილისში რკინისგზელებისათვის ახალ საავადმყოფოს ასაგებათ.

**წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში.**

დღეს გაიმართება კინო „სხვისი სახელით“ (რავენგარის საიდუმლოება). 1 და 2 სერიას უჩვენებენ ერთად.

---

# მეცნიერება და ტეხნიკა

**ლითონისაგან დამზადებული ცეპელინი.**

ერთ გამოჩენილ გერმანელ ფიზიკოსს რიჩენს დაუმზადებია ცეპელინი (უზარმაზარი ჰაეროპლანი), რომელიც მთლიანად ლითონისაგან შესდგება. ამ ახალ საჰაერო ხომალდს შემდეგი უპირატესობანი აქვს ძველი ტიპის ცეპელინებთან შედარებით: ის უფრო ეკონომიურია მუშაობაში, დიდ ხანს იკავებს გაზებს და არ საჭიროებს დახურულ ანგარებს (სადაც ინახება ჰაეროპლანები). თამამად შეიძლება ის მთელი თვეების განმავლობაში იქნეს დატოვებული ღია ცის ქვეშ. ამას გარდა ხსენებული საჰაერო ხომალდი ძლიერ დიდი ამტანია ქარიშხალის და ნაკლებად ეშინია აგრეთვე ცეცხლის.

საავიაციო საქმის სპეციალისტები დიდ მიღწევად სთვლიან მას საჰაერო მიმოსვლაში და ისეთივე როლს აკუთვნებენ, როგორიც ითამაშა პირველად ლითონისაგან დამზადებულ საზღვაო გემებმა-საზღვაო მიმოსვლაში.

**3.200 ძალის ელექტრო-მზიდავი.**

საფრანგეთში რკინის გზებზე თანდათან ხდება ელექტროფიკაცია. სამხრეთ საფრანგეთის რკინის გზათა სამართველომ გადასწყვიტა 10 წლის განმავლობაში მოახდინოს მთელი თავისი გზების ელექტროფიკაცია. ამ გზების მთელი სიგრძე უდრის 2000 კილომეტრს. სამხრეთ საფრანგეთს საკმაოდ მოეპოება ამისათვის წყლის ძალა.

ამ მიზნით გამოსცადეს ელექტრო-მზიდავის (ოთქმავლის მაგიერი) ოთხი ტიპი, რომლებიც ხმარებაში შევლენ მიმდინარე წელშივე. მათი სიჩქარე ედრება 100 კილომეტრს საათში. ერთ ამ ელექტრო—მზიდავთაგანს აქვს ოთხი მოძრავი ბერკეტი. თითეულ მათგანზე მოქმედებს 800 ცხენის ძალიანი მოტორი, ასე რომ ელექტრომზიდავის საერთო სიძლიერე აღწევს 3.200 ცხენის ძალამდე. 400 ტონის (ტონში 61 ფუთი) სიმძიმის მატარებელს ეს ელექტრო-მზიდავი ამოძრავებს 120 კილომეტრის სიჩქარით საათში.

**მიწის ქვეშა საფოსტო გზა ლონდონში.**

ლონდონის ფოსტის სამმართველომ გადასწყვიტა გაიყვანოს მიწის ქვეშ ელექტრო საფოსტო გზა, რომელიც შეუერთებს მთავარ ფოსტას ლონდონის ყველა სადგურებს. ამ გზით გადაზიდული იქნება მხოლოდ ამანათები, წერილები და გაზეთები. გზა შესდგება ორი პარალელურად გაყვანილი გვირაბისაგან. თითეულს ექნება ორი საჟენის სიგანე. გზაზე მოძრაობის სიჩქარე განზრახულია იქნეს 60 კილომეტრი საათში. გზა იმუშავებს ავტომატიურად (თვისით) ელექტრონის საშვალებით.

---

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ჯარში გაწვევის გამო, მამაჩემისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას ჩამოურთმევია ჩემი საკუთარი ქცევანახევარი მიწა. გთხოვთ მიპასუხოთ ქონდათ თუ არა ამისი უფლება?

წ. არმ. **ტრიფონ მამარდაშვილი.**

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა № 197 და რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს ბრძანებისა № 1520 ჯარში გაწვეულ წითელ-არმიელებს არ ერთმევათ მიწა და თუ მისი ე. ი. წითელ-არმიელის ჯარში გაწვევის გამო ოჯახში დარჩენილთ არ შეუძლიათ დაამუშავონ ეს მიწა, მაშინ უფლება აქვთ გასცენ იჯარით ან მის დასამუშავებლად დაიქირავონ მუშა.

**კითხვა.** შემიძლია თუ არა სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ შევიდე მუშფაკში?

**ალ. ხარებაშვილი.**

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა № 197 პირველ რიგში უნდა იქნეთ მიღებული, როგორც შვებული წითელ-არმიელი.

**კითხვა.** როდის დაგვითხოვენ 1924 წ. შემოდგომაზე გამოწვეულთ?

წ. არმ. ხ.—ლი.

**პასუხი.** გაისად, შემოდგომაზე.

**კითხვა.** ვარ დაბადებული 1900 წ., ჯარში გამიწვიეს 1921 წ., უვადო შვებულებაში გამიშვეს 1923 წ. აპრილში. სამსახურის ნუსხა, რომელიც მიღებული მქონდა მე-2 ლეგ. დამეკარგა და სენაკის სამაზრო კომისარიატში არ გამოვცხადებულვარ. 1924 წ. შემოდგომაზე ხელ-ახლად გამიწვიეს და ვმსახურებ. მეკუთვნის სამსახური თუ არა, ვის უნდა მივმართო განმარტებისათვის?

**კირილე კიკალიშვილი.**

**პასუხი.** მოითხოვეთ მე 2 ლეგიონიდან თქვენი განთავისუფლების საბუთები და წარუდგინეთ თქვენს უფროსს, რომელიც გადაუგზავნის სათანადო დაწესებულებას, რომ თქვენ გაგანთავისუფლონ.

**კითხვა.** მე ვიყავი მიწერილი ტერნაწილზე ცვალებად შემადგენლობაში. ამ ჟამად კი ვმსახურებ მესამე ლეგიონში. გამანთავისუფლებენ თუ არა იმ დროს, როცა ტერ-არმიელებს გაანთავისუფლებენ?

**ი. გვენეტაძე.**

**პასუხი.** თქვენი შეკითხვა გაუგებარია. გაგვაგებიეთ როგორ მოხვდით კადრში?

---

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ. თათოშვილს** (5-თე ლეგ.), მინდიაშვილს (1-ლი ლეგ.), ფხალაძეს (2-რე არტლეგ.), 1000-ს (5-თე ლეგ.), თომაძეს, შიბლეიშვილს (ცხენ. ლეგ.), და ზაუტაშვილს თქვენი კორესპონდენციები: „საშეფო კომისია“, „წითელ არმიელებს სალამი“, „გამოხმაურება“, „სურათები“, „განა ამნაირი არ უნდა ვიყოთ?“, „მადლობა დაუღალავ მუშაკს?“ და „აუცილებელი საჭიროება“ არ გამოგვადგა. მოიწერეთ სხვაზე და ხშირად.

**ამხ. ქვათაძეს,** თქვენი ლექსი არ გამოდგა, მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან.

---

**დაკარგე** ახკომკავშირიდან გაცემული საწევრო წიგნაკი № 11555 სამხედრო გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის 3-მე ასეულის კურსანტ ბიქტორ ლომიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

---

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.



სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 8.